



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87220202

თარიღი:20/01/2022

განკარგულება N2

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ ილიურთა-ვესტომთა-საჩილოლო-ვესტმოს და ვესტომთა-გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები“ (დანართის შესაბამისად);
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ინფორმაცია მთის ფონდის ფარგლებში 2022 წლისთვის დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შესახებ (დანართი)

N	მუნიციპალიტეტი	2022 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	მათ შორის	შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	
1	ახმეტა	ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილიურთა-ვესტომთა-საჩილოლო-ვესტმოს და სოფ. ვესტომთა-გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები	გზა	3,990,780.0	-	
		სულ ჯამი:		3,990,780	-	